ცესკო

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი

CENTER FOR DEVELOPMENT AND DEMOCRACY

# სამოქალაქო მონაწილეობის გაძლიერება საარჩევნო პროცესებში

## გადაწყვეტილება შენზეა
## Decision is Yours

## პროექტის მიზანი და მიმართულება

ახალგაზრდა თაობის ეთნიკური უმცირესობათა წარმომადგენლების საარჩევნო და პოლიტიკური ცნობიერების ამაღლება, სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და თვითშეგნების დონის ზრდა და 2016 წელს დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებში ახალგაზრდა ამომრჩევლის როლის გააქტიურების ხელშეწყობა.

## პროექტის განხორციელების არეალი:

ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონი

## პროექტის განხორციელების პერიოდი:

2016 წლის 7 აგვისტო - 2016 წლის 7 ოქტომბერი

## პროექტის სამიზნე ჯგუფი

ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდა თაობის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები (სტუდენტები და დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები)

# პროექტის ამოცანები

ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდა თაობის ეთნიკური უმცირესობათა წარმომადგენელებისათვის:

- არჩევნებთან დაკავშირებით შესაბამისი საგანმანათლებლო - საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებების განხორციელება;
- ინფორმაციის მიწოდება არჩევნების გზით ქვეყნის მართვის პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის მნიშვნელობის საკითხებზე და საარჩევნო უფლებების რეალიზების საკანონმდებლო მექანიზმებზე;
- ინფორმაციის მიწოდება გენდერული ასპექტებსა და თანასწორობის ხელშეწყობაზე.

# შემუშავებული მასალები

*ქართულ, აზერბაიანული და სომხურ ენაზე*

პლაკატი





ბროშურა



ბუკლეტი (მარაო)




სანიშნე



**გადაწყვეტილება შენზეა**
**Decision is Yours**

# აქტიურ მოქალაქეთა ჯგუფი



10 - 13 სექტემბერი, გუდაური სასტუმრო „ალპინა“

**გადაწყვეტილება შენზეა**
***Decision is Yours***

# საინფორმაციო შეხვედრები და ვორქშოპები

14 სექტემბერი - 4 ოქტომბრის პერიოდში მოხალისეების ჩართულობით მოეწყო საინფორმაციო შეხვედრები და ვორქშოპები ახალგაზრდებისათვის, რეგიონების ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ქალაქებს, თემებსა თუ სოფლებში.



# საინფორმაციო შეხვედრები და ვორქშოპები

შეხვედრები აგრეთვე ჩატარდა და საინფორმაციო მასალები გავრცელდა ახალგაზრდულ კლუბებში, ცენტრებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში











# ერთ დღიანი სემინარები დემოკრატიული ჩართულობის ცენტრებში









გადაწყვეტილება შენზეა

**Decision is Yours**

# საინფორმაციო ვიდეო რგოლები

საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან (GARB) პარტნიორობით მომზადდა 9 საინფორმაციო ვიდეო რგოლი (ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე), რომელიც 10 სექტემბერი - 7 ოქტომბრის პერიოდში განთავსდა რეგიონში არსებულ მედია საშუალებებში (მეცხრე არხი; ატვ 12; ფარვანა; ქვემო ქართლი TV; ბოლნელი; მარნეული TV).



# www.facebook.com/DecisionIsYours.ge.

| | |
|---|---|
| ფოტო კონკურსი<br>„გადაწყვეტილება შენზეა 2016“ | 1 სექტემბერი - 4 ოქტომბერი |
| სლოგანების კონკურსი<br>„გადაწყვეტილება შენზეა 2016“ | 1 სექტემბერი - 4 ოქტომბერი |
| შეკითხვების კონკურსი | 15 სექტემბერი - 4 ოქტომბერი |






გადაწყვეტილება შენზეა
Decision is Yours












# ფოტო კონკურსი

# სლოგანების კონკურსი

| | | |
|---|---|---|
| წადი არჩევნებზე! შეცვალე მომავალი უკეთესობისკენ! | Գնա ընտրության! փոխիր ապագան դեպի լավագույն | Seçkilərə get! Gələcəyini yaxşılığa doğru dəyiş! |
| არჩევნები, საუკეთესო მომავლის გარანტი! | Ընտրությունը լավագույն ապագայի գրավական է | Seçkilər, yaxşı gələcəyin təminatı! |
| გაუკვალე გზა ახალთაობას წარმატებისკენ, წადი არჩევნებზე! | Նոր սերնդի ճանապարհը հարթեցրու դեպի հաջողության կողմ: Գնա ընտրության! | Genç nəsil üçün iz burax, seçkilərə get! |
| შენი ხმა, ქვეყნის კეთილდღეობისთვის! | Քո ձայն երկրի բարորության համար | Sənin səsin ölkənin ərmağanlığı üçün! |
| შენი ხმა + ჩემი ხმა = დემოკრატიული წინსვლა! | Քո ձայն+ իմ ձայն= ժողովրդավարական առաջխաղացման: | Sənin səsin+mənim səsin=demokratiya! |
| 18-ის ხარ? - მიიღე მონაწილეობა არჩევნებში, ჩვენი მომავალი ხომ უკვე შენზეც არის დამოკიდებული! | 18_ տ ես? Մասնակցիր ընտրության! Մեր ապագան քեզանից էլ կախված | 18 yaşın var? – seçkilərdə iştirak et, çünki bizim gelэcəyim səndən aslıdır axı! |
| ჩვენი მომავალი თითოეულ ადამიანზეა დამოკიდებული,ნუ დაკარგავ შენ ხმას!წადი არჩევნებზე! | Մեր ապագան յուրաքանչյուր մարդկանցից է կախված: Մի կորցրու քո ձայն !Գնա | Bizim gələcəyimiz hər bir insadan aslıdır, öz səsini itirmə! Seçkilərə get! |
| თუ გვინდა რომ ქვეყანა იყოს წარმა-ტებული და ძლიერი, მნიშვნელოვანია ერთობა, ერთად შევცვალოთ მომავალი! | Եթե ւզւմ ես ,որ երկիր լինի ւժեղ և հաջողակ գլխավոր միասնություն է ,միասին փոխենք ապագան: | Əgər ölkənin müvəffəqiyyətli və güclü olmasını istəyirsənsə, birlikdə olmaq vacibdir, gələcəyi birlikdə dəyişək! |
| შენი ქვეყნის ისტორიას შენ ქმნი,მიდი არჩევნებზე და გააგრძელე ისტორია! | Քո երկրի պատմություն դու ես ստեղծւմ , գնա ընտրության և շարւնակիր պատմություն: | Öz ölkənin tarixini özün yarat, seçkilərə get və tarixi davam etdir! |
| შენი და ჩემი ხმა ეს სახელმწიფოა! | Դւ և քո ձայնը սա արդեն պետություն է | Sənin və mənim səsim dövlət deməkdir! |
| გააკეთე არჩევანი ,შენ ირჩევ შენს მომავალს! | Կատարիր ընտրություն, դւ ընտրւմ ես քո ապագան ! | Seçimini et, sən öz gələcəyini seçirsən! |
| ჩვენი თითო ხმა ჩვენი ქვეყნის მომავალია! | Մեր յուրաքանչյուր ձայն մեր երկրի ապագան է | Bizim hər bir səsimiz öz ölkəmizin gələcəyi deməkdir! |
| ნუ იქნები ბუნდოვანი! გააკეთე არჩევანი! | Մի եղիր շփոթված ! Կատարիր ընտրություն! | Anlaşılmazlığda qalma! Seçimini et! |
| ნუ იქნები ნული ვანი! გააკეთე არჩევანი! | Մի եղիր չեզոք ! Կատարիր ընտրություն | Sıfıra bərabər olma! Seçimini et! |
| ნუ იქნები არაფერი! გააკეთე არჩევანი! | Մի եղիր հակառակ ! Կատարիր ընտրություն! | Yoxlardan olma! Seçimini et! |

# შეკითხვების კონკურსი

1. რა ასაკიდან შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე საქართველოს პარლამენტის წევრად?
2. რა ეწოდება ქვეყნის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას?
3. რა ასაკიდან იძენს საქართველოს მოქალაქე აქტიურ საარჩევნო უფლებას?
4. რამდენი წლის ვადით აირჩევა საქართველოს პარლამენტის წევრი?
5. რამდენი პალატისგან შედგება ამჟამად საქართველოს პარლამენტი?
6. რომელი დოკუმენტით განისაზღვრება საქართველოს პარლამენტის შინაგანი სტრუქტურა და მუშაობის წესი?
7. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით პარლამენტის ადგილსამყოფელია?
8. რა სახელწოდებით არის ცნობილი პარლამენტის ორგანო, რომელშიც შედიან თავმჯდომარე, მისი მოადგილეები, საპარლამენტო ფრაქციებისა და კომიტეტების თავმჯდომარეები?
9. წლის განმავლობაში რამდენჯერ იმართება საპარლამენტო სესია?
10. რომელი ორგანო უზრუნველყოფს საქართველოს პარლამენტის მუშაობას?
11. როგორი საარჩევნო სისტემის საფუძველზე ტარდება საქართველოს პარლამენტის არჩევნები?
12. საქართველოს პარლამენტის რამდენი წევრი აირჩევა პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე?
13. საქართველოს პარლამენტის რამდენი წევრი აირჩევა მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე?
14. არჩევნებში მონაწილეთა ხმების რა რაოდენობაა საჭირო იმისათვის, რომ პარლამენტის წევრობის კანდიდატი მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეულად ჩაითვალოს?
15. არჩევნებში მონაწილეთა ხმების მინიმუმ რა რაოდენობაა საჭირო საარჩევნო სუბიექტისათვის საქართველოს პარლამენტის წევრთა მანდატების მოსაპოვებლად?
16. რა ხდება იმ შემთხვევაში თუ მაჟორიტარული არჩევნების პირველ ტურში საქართველოს პარლამენტის წევრი ვერ აირჩა?
17. რამდენი კანდიდატი მონაწილეობს არჩევნების მეორე ტურში?
18. რომელ წელს ჩატარდა პირველი მრავალპარტიული არჩევნები საქართველოში?
19. 1990 წლიდან მოყოლებული დღემდე რამდენჯერ ჩატარდა საქართველოს პარლამენტის არჩევნები?
20. რა ეწოდება ფარული ხმის მიცემისათვის განკუთვნილ დამტკიცებული ფორმის საარჩევნო დოკუმენტს?

# შემაჯამებელი კონფერენცია

ღონისძიებაზე მოეწყო პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების ფოტო-ვიდეო ჩვენება და კონკურსების შედეგად მიღებული სლოგანებისა და ფოტოების გამოფენა. კონკურსებში გამარჯვებულებს გადაეცათ სიგელები და სამახსოვრო პრიზები.











## პროექტის ეფექტი (მიღწეული შედეგები)

- ✓ გაიზარდა ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდა თაობის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების, არჩევნებზე პირველად წამსვლელი ახალგაზრდა ამომრჩევლის ინფორმირებულობის დონე ზოგადად პოლიტიკისა და საარჩევნო პროცესების, მისი მნიშვნელობისა და საკუთარი მოვალეობის, არჩევითი სახელმწიფო ინსტიტუტისა და ქვეყნის მოწყობის შესახებ;
- ✓ ახალგაზრდებს დარჩათ 3 ენაზე (ქართული, აზერბაიჯანული, სომხური) შემუშავებული საინფორმაციო მასალები (ბუკლეტი, ბროშურა, სანიშნე და სხვა), რომელიც დაეხმარებათ მათ 3 წლიანი საარჩევნო ციკლის პერიოდში თავიანთი უფლებების უკეთ რეალიზებაში;
- ✓ ფეისბუქ გვერდზე - „გადაწყვეტილება შენზეა 2016“ განთავსდა 119 საინფორმაციო და შემეცნებითი სახის პოსტი ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. თითოეულ პოსტს დღიურად ყავდა 2000-დან 5000-მდე მნახველი;
- ✓ რეგიონებს შეემატა დატრეინინგებული, მოტივირებული და მრავალფეროვანი აქტიურ მოქალაქეთა ჯგუფი;
- ✓ რეგიონულ მედია საშუალებებში ვიდეო რგოლის გავრცელებამ მნიშვნელოვანი ეფექტი იქონია ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის. რაც აისახა შესაბამისი რეგიონის კენჭისყრის დღის აქტივობებში.

# შემაფერხებელი გარემოებები და გადაჭრის გზები

<u>ახალგაზრდების დაბალი ინტერესის დონე</u> - პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების მრავალფეროვნებამ, კრეატიულობამ, მასალების ხელმისაწვდომობამ (ეთნიკური უმცირესობებისათვის), ასევე რეგიონალური კოორდინატორებისა და აქტიურ მოქალაქეთა ჯგუფის წევრების მიერ ეფექტურმა კამპანიამ უზრუნველყო პროექტში მონაწილეთა ჩართულობა და დაინტერესება. ფეისბუქ გვერდის - „გადაწყვეტილება შენზეა 2016“ გამოყენებამ ხელი შეუწყო ახალგაზრდების ინფორმირებულობის დონის ზრდას.

ცესკო

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და
**სწავლების ცენტრი**

CDD

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი
CENTER FOR DEVELOPMENT AND DEMOCRACY

# გადაწყვეტილება შენზეა
# Decision is Yours